



საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

## ბანკარგულება

2016 წლის 19 ოქტომბერი

№ 14

თბილისი

### საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტებისა ან/და მონეტებისათვის თემების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2010 წლის 10 ივნისის N5 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტებისა ან/და მონეტებისათვის თემები დანართის მიხედვით.
2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

თემები საკოლექციო დანიშნულების  
ლარის ბანკნოტების ან/და მონეტების გამოსაშვებად

1. თემები გამოსაშვები ლარის ბანკნოტების ან/და მონეტებისთვის, რომლებიც ეძღვნება შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს / თარიღებს:
  - 1.1. თემა - ქართული ვაზი, მოვლენა - ღვინის საერთაშორისო ფესტივალი  
გამოშვების წელი - 2017;
  - 1.2. თემა - ქართული უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავი,  
გამოშვების წელი - 2018;
  - 1.3. თემა - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი,  
გამოშვების წელი - 2018;
  - 1.4. თემა - ქართული წიგნი, მოვლენა - წიგნის 70-ე საერთაშორისო ბაზრობა,  
გამოშვების წელი - 2018;
  - 1.5. თემა - საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) 100 წლისთავი,  
გამოშვების წელი - 2019;
  - 1.6. თემა - საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების 100 წლისთავი,  
გამოშვების წელი - 2019;
  - 1.7. თემა - რაგბის მე-9 მსოფლიო ჩემპიონატი,  
გამოშვების წელი - 2019;
  - 1.8. თემა - პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკის გამოშვების 100  
წლისთავი,  
გამოშვების წელი - 2019;
2. თემები გამოსაშვები ლარის ბანკნოტების ან/და მონეტების სერიებისათვის:
  - 2.1. ქართული ანბანი;
  - 2.2. საქართველოს კუთხე(ები) / რეგიონ(ებ)ი / ქალაქ(ებ)ი.